



შემოქმედებითი ვებ დიზაინი

გიო ვასაძე, თათა გუშარაშვილი

კურსის ხანგრძლივობა: 14 კვირა

კურსის აღწერა:

სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტს მისცეს ცოდნა სამომხმარებლო გრაფიკული ინტერფეისებსა და სამომხმარებლო გამოცდილების, როგორც დისციპლინის არსზე, ტექნოლოგიურ თავისებურებებზე პლატფორმის, ბრენდის ან პროდუქტის მიზნობრიობიდან გამომდინარე. სასწავლო კურსი მიზნად ისახავს სტუდენტს მისცეს შემოქმედებითი და პრაქტიკული ცოდნა ვებ, დესქტოპ და მობილური პლატფორმებისთვის ვიზუალური ინტერფეისების შექმნის, ანალიზის, ტესტირებისა და გაუმჯობესების შესახებ; ასწავლოს მოცემული ბრიფის ფარგლებში, როგორ დაგეგმონ და შექმნან სრულად ოპტიმიზირებული და ამავე დროს აქტუალური სამომხმარებლო ინტერფეისები

კურსის განმავლობაში გამოყენებული პროგრამები:

Figma

პრერეკვიზიტები:

კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, აუცილებელია გრაფიკული რედაქტორი Figma-ს საბაზისო დონეზე ცოდნა.

კურსის დაკომპლექტება მოხდება მონოდედული პორტფოლიოს საფუძველზე - მსურველებმა უნდა გამოგზავნონ საკუთარი შესრულებით მინიმუმ ხუთი ნამუშევარი მეილზე enroll@das.edu.ge (AI-ით დაგენერირებული ნამუშევრები არ მიიღება). რელევანტური გამოცდილების შემთხვევაში, თან დაურთონ პროექტები, რომელზეც უმუშავიათ.

შეხვედრები ჩატარდება ფიზიკურ გარემოში.



კვირა 1

თემა: შესავალი ლექცია

- UI/UX დიზაინის არსი და შექმნის პროცესის სტრუქტურა
- გრაფიკული რედაქტორების: Figma, Adobe XD, Readymag, WIX მიმოხილვა

კვირა 2

თემა: სამომხმარებლო გამოცდილების ელემენტები

- სტრატეგიის განსაზღვრა
- მასშტაბის განსაზღვრა
- კვლევა - მოცემული ბრიფის მიხედვით პროდუქტზე შექმნილი სხვა საიტების მოძიება და შედარება
- Moodboards -შექმნა და გამოყენება
- Stylecapes - შექმნა და გამოყენება

დავალება

კვირა 3

თემა: სამომხმარებლო გამოცდილების ელემენტები

- სამომხმარებლო გამოცდილების სტრუქტურა
- სამომხმარებლო გამოცდილების შინაარსის გეგმარება/განაწილება;
- სამომხმარებლო გამოცდილების ჩონჩხი;
- ბლოკ სქემები (wireframe)
- კონტენტი და შესაბამისი UX დიზაინის შექმნა

დავალება

კვირა 4

თემა: გრაფიკული სამომხმარებლო ინტერფეისის საფუძველი

- გრაფიკული ბადები: სვეტური მოდულარული და იერარქიული - მათი შექმნა და გამოყენება.
- გრაფიკული ბადის სისტემების შექმნა და გამოყენება.
- ობიექტების განლაგება გრაფიკულ ბადეზე და განზომილებაში
- სხვადასხვა კომპოზიციები

დავალება



კვირა 5

თემა: გრაფიკული სამომხმარებლო ინტერფეისის ელემენტების შექმნა და მათი გამოყენება

- ნავიგაცია
- ლილაკები
- მოდულები
- თეგები
- ჩამოშლადი მენიუები; ჩექბოქსები
- პროგრესის
- მანიშნებლები
- სლაიდერები

დავალება

კვირა 6

თემა: გრაფიკული სამომხმარებლო ინტერფეისის ელემენტების გამოყენება

- ფერი
- ტიპოგრაფია
- სხვადასხვა შრიფტების გამოყენებით კითხვადი განლაგების შექმნა ინტერფეისში

დავალება

კვირა 7

თემა: დიზაინ სისტემათა ბიბლიოთეკა

- UI Kits - გამოყენება
- დიზაინ სისტემების გამოყენება

დავალება

კვირა 8

თემა: Everything is a copy of a copy of a copy

- სასურველი ვებ დიზაინის გრაფიკული ასლის შექმნა

დავალება



